

<p>„ავტორიზებული პირის ელექტრონულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების მიღების მიზნით გამართული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი კომენტარების განხილვის ცხრილი</p>		
კომენტარის წარმდგენი სუბიექტი	კომენტარი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პასუხი კომენტარზე
<p>შპს „სელფი მობაილი“ წერილის №352/24, თარიღი - 28.05.2024 (კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2487, თარიღი - 28.05.2024)</p>	<p>მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ობიექტურ, გამჭვირვალე და პროპორციულ კრიტერიუმებს, უნდა დაემატოს არადისკრიმინაციულობის კრიტერიუმი, რათა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორის მხრიდან ავტორიზებული პირების მიმართ ერთგვაროვან საკითხებზე განხორციელდეს ერთგვაროვანი მიდგომა.</p>	<p>„ავტორიზებული პირის ელექტრონულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების წესები და პირობების“ (შემდგომში - დაშვების წესები) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი (რომელიც კომენტარშია მითითებული) ზუსტად იმეორებს „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესს, შესაბამისად, მასში ცვლილების შეტანა მიზანშეუწონელია.</p> <p>თუმცა, ამის მიუხედავად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სამართლებრივი ურთიერთობების დროს დაშვებულია დისკრიმინაცია, რამდენადაც ამას აზღვევს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „ეს კანონი ემყარება კონკურენციის, ღიაობის, ხელმისაწვდომობის, თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.“ ასევე, ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც სწორედ</p>

		<p>ინფრასტრუქტურაზე დაშვებას ეხება, განსაზღვრავს, რომ „ინფრასტრუქტურის ოპერატორი ვალდებულია ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განსათავსებლად საკუთარ ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების თაობაზე ავტორიზებული პირის გონივრული წერილობითი მოთხოვნა დააკმაყოფილოს არადისკრიმინაციული, სამართლიანი და გონივრული პირობებითა და ფასით.“</p> <p>ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურაზე დაშვებისას არადისკრიმინაციული მიდგომა კანონითაა გარანტირებული.</p>
<p>სს „ენერჯო პრო ჯორჯია“ წერილის №20015629, თარიღი - 28.05.2024 (კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2488, თარიღი - 28.05.2024)</p>	<p>1. ინფრასტრუქტურის გაზიარების მიზნებისათვის ახალი დაშვების პროექტის განხორციელებამდე, ოპტიმალურ ვარიანტად მიგვაჩნია უკვე არსებული რესურსის მაქსიმალურად გამოყენება და დანარჩენი პროვაიდერების მიერ მათი სარგებლობა. ვფიქრობთ ქსელების ოპტიმიზაციის კუთხით ცალსახად სწორი იქნება გაზიარების ვალდებულება უპირატესად ვრცელდებოდეს იმავე ტიპის ქსელზე და მხოლოდ ამ პრინციპის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემუშავების შემთხვევაში - სხვა ტიპის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად, ინფრასტრუქტურაზე დამატებითი საკომუნიკაციო ქსელის მოწყობაზე (მაშინაც კი, თუ ტექნიკურად შესაძლებელია) უარის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს უკვე განთავსებული საკომუნიკაციო ქსელის გაზიარების</p>	<p>1. კომისია ვერ გაითვალისწინებს აღნიშნულ კომენტარს შემდეგ გარემოებათა გამო:</p> <p>ა) კანონი (მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი) ამომწურავად განსაზღვრავს ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლებს და ამ ჩამონათვალის კანონქვემდებარე აქტით გაფართოება, დაუშვებელია.</p> <p>ბ) კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს პასიურ ინფრასტრუქტურაზე დაშვება. კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფიზიკური ინფრასტრუქტურა განმარტებულია, როგორც ინფრასტრუქტურის ოპერატორის ქსელის (მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელი) ნებისმიერი ელემენტი, რომელიც ქსელის აქტიური ელემენტი არ არის და განკუთვნილია ქსელის სხვა ელემენტების განსათავსებლად. ამასთან, ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის კაბელები, მათ შორის, გაუნათებელი</p>

<p>შესაძლებლობა. დაგვეთანხმებით, გამანაწილებელ ქსელზე შეუზღუდავი რაოდენობის დამატებით ქსელის განთავსება არც ვიზუალურად და არც ტექნიკურადაა გამართლებული, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ არ არსებობს ამ საკითხის მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი ან სტანდარტი, რადგან საქართველოში ამ ეტაპზე არსებული სტანდარტები ძირითადად საბჭოთა დროინდელია.</p> <p>ავტორიზებული პირის ელექტრონულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების წესები და პირობების შესახებ დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტს ჩაემატოს დაშვების მოთხოვნის დასაბუთება - ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების განთავსების აუცილებლობის დასაბუთება (არსებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების პროექტის მიზნებთან შეუსაბამობის დასაბუთება); (სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის მესამე პუნქტში არის მკაფიო მითითება წერილობითი მოთხოვნის გონივრულობის აუცილებლობაზე, რაც ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილის „ვ“ პუნქტის</p>	<p>ობტიკური ძარღვი, ფიზიკური ინფრასტრუქტურა არ არის.</p> <p>ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის აქტიურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებას აწესრიგებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და ამ საკითხის რეგულირება სცდება დაშვების წესების ფარგლებს. ამ საკითხს კომუნიკაციების კომისია არეგულირებს და ადასრულებს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში.</p>
---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>გათვალისწინებით უდავოდ უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ელექტროგამანაწილებელ ქსელზე უკვე დაშვებული საკომუნიკაციო ქსელის გაზიარების შეუძლებლობის დასაბუთებას. ამის შეფასება კი ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის მესაკუთრეს თავად, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გარეშე არ შეუძლია.</p>	
	<p>2. დაშვება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის საკუთრებაში (და არა მფლობელობაში) არსებულ საჭაერო, ელექტროგადამცემ ქსელზე. მოგეხსენებათ კომპანიის სარგებლობაში არსებული ქსელის გარკვეული ნაწილი არაა ჩვენს საკუთრებაში.</p>	<p>2. დაშვების წესების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ „ამ წესის მიზნებისთვის მოთხოვნის ადრესატს წარმოადგენს პირი, რომელსაც კანონის ან სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გააჩნია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე პირის დაშვების უფლებამოსილება.“</p> <p>შესაბამისად, ეს საკითხი ცალსახად არის მოწესრიგებული დაშვების წესებით. სამოქალაქო სამართალში არსებობს პრეზუმფცია, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, როგორც წესი, ნივთის განკარგვის უფლებამოსილება გააჩნია მის მესაკუთრეს. ამასთან, ამის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, რომ ნივთის მფლობელი არ იყოს მისი მესაკუთრე ან მესაკუთრეს ნივთის განკარგვის უფლებამოსილება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე გადაცემული ქონდეს მფლობელისთვის. დაშვების წესების მიზანს წარმოადგენს, რომ კანონით განსაზღვრულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე მოხდეს ავტორიზებული პირის დაშვება მოთხოვნის შემთხვევაში და არ არის გადამწყვეტი, თუ ვის მიერ განხორციელდება დაშვება -</p>

		<p>მესაკუთრის თუ მფლობელის (თუ ისინი სხვადასხვა პირები არიან) მიერ. დაშვება უნდა განხორციელდეს იმ პირის მიერ, ვისაც შესაბამისი უფლებამოსილება გააჩნია.</p>
	<p>3. ინფრასტრუქტურის გაზიარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილების მოთხოვნები;</p>	<p>3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366-ე დადგენილება განსაზღვრავს ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობის დაცვის ზონებს და ზღუდავს გარკვეულ ქმედებებს ამ დაცვის ზონებში. მაგრამ ეს წესები არ კრძალავს ელექტრონული საკომუნიკაციო კაბელების (კავშირგაბმულობის ხაზები) ან შესაბამისი ელექტრონული საკომუნიკაციო მოწყობილობების განთავსებას და ასეთი არც თავად კომენტარის ავტორს აქვს მითითებული. პირიქით, დადგენილების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი მიუთითებს მათი თანაარსებობის შესაძლებლობაზე. დაშვების წესებით განსაზღვრული არც ერთი პირობა არ მოდის წინააღმდეგობაში აღნიშნულ დადგენილებასთან (ამაზე არც კომენტარის ავტორი უთითებს). და ბოლოს, კანონი და დაშვების წესები პირდაპირ და ექსპლიციტურად ითვალისწინებს დაშვებაზე უარის თქმას იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი ადგება ქსელის მთლიანობას და უსაფრთხოებას. შესაბამისად, თუ კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკური ინფრასტრუქტურის ოპერატორი დაასაბუთებს, რომ მის ინფრასტრუქტურაზე დაშვება ზიანს მიაყენებს მისი ქსელის მთლიანობას და უსაფრთხოებას, ის უფლებამოსილი იქნება, უარი უთხრას დაშვების მსურველს დაშვებაზე.</p>

<p>4. დადგენილების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტი განსაზღვრავს - „აკრძალულია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ავტორიზებული პირისთვის დაშვების წინაპირობად დეპოზიტის ან/და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა“. მსგავსი ჩანაწერი არ გვხვდება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ საქართველოს კანონში, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, შესაბამისად გაუგებარია რა საფუძველით მოხვდა აღნიშნული ჩანაწერი დადგენილების პროექტში. ვფიქრობთ სადავო ვერ იქნება, რომ საკომუნიკაციო ქსელის დაშვება არ უნდა იქცეს ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის ძირითადი დანიშნულებით გამოყენების შემაფერხებლად და ვალდებულება ფინანსურ ტვირთად არ უნდა დააწვეს ფიზიკური ინფრასტრუქტურის მესაკუთრეს. რამდენადაც ნორმატიულად არ არის განსაზღვრული მომსახურების საფასურის ანაზღაურების რაიმე გარანტია, მეტიც - შემდგომი დაშვების შემაფერხებლადაც კი არ განიხილება უკვე არსებული დავალიანება, პრინციპულად არასწორად მიგვაჩნია მესაკუთრისთვის სახელშეკრულებო ურთიერთობაში, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საშუალებების გამოყენებით საკუთარი ინტერესების (რაც</p>	<p>4. კომენტარი გათვალისწინებულია და დაშვების წესების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულია.</p> <p>პროექტში ამ პუნქტის გაჩენა მიზნად ისახავდა იმას, რომ დაშვების მსურველ პირებს არ შექმნოდათ ხელოვნური ბარიერი შეუსაბამოდ მაღალი დეპოზიტის ან/და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნით და ამის საფუძველზე არ მომხდარიყო დაშვებაზე უარის თქმა. თუმცა, დაინტერესებული პირების მოსაზრებების გათვალისწინებით და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ დაშვებაზე უარის თქმის საფუძველებს კანონი ამომწურავად განსაზღვრავს და ინფრასტრუქტურის ოპერატორებს არ აქვთ უფლება განავრცონ ეს საფუძველები და ასევე კომისიას, რომელიც მომართვის შემთხვევაში განიხილავს დაშვებაზე უარის თაობაზე წარმომოხილ დავეს, შესაძლებლობა ექნება შეამოწმოს უარის თქმის საფუძველიანობა და მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია ამ კომენტარის გათვალისწინება და შესაბამისად დაკორექტირდა პროექტი.</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ამავედროულად საჯარო ინტერესსაც წარმოადგენს) დაცვის შესაძლებლობის აკრძალვა.</p>	
	<p>5. ავტორიზებული პირის ელექტრონულ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების წესების და პირობების შესახებ დადგენილების პროექტის მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტს ჩაემატოს ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ: დაგეგმილი ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ტექნიკური მახასიათებლები, გამტარუნარიანობა და ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ნაწილში იქნება ათვისებული განმცხადებლის მიერ და რა ნაწილში ექვემდებარება გაზიარებას სხვა ავტორიზებული პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>(სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ საქართველოს კანონის მეოთხე მუხლის მესამე პუნქტში არის მითითება „შესაბამისი პროექტის ელემენტების“ და „დაშვების პირობების“ დაშვების მოთხოვნაში მითითების აუცილებლობაზე, რაც ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-7 ნაწილის „ვ“ პუნქტის (საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურასთან დაშვების რეალური ალტერნატიული</p>	<p>5. კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ კომენტარის გათვალისწინება, რამდენადაც ეს კომენტარი ეხმიანება და წარმოადგენს არსებითად იმავე საკითხს, რომელიც კომენტარის ავტორის მიერ დაფიქსირებულია პირველ კომენტარში და რომელზეც კომისიის პოზიცია პირველი კომენტარის შესაბამის გრაფაში არის დაფიქსირებული.</p>

	<p>საშუალებების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ) გათვალისწინებით უდავოდ უნდა მოიცავდეს ინფრასტრუქტურის ოპერატორისთვის მის ქსელზე უკვე განთავსებულ საკომუნიკაციო ქსელში არსებული თავისუფალი რესურსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.</p>	
	<p>6. მე-4 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ხარვეზის დადგენის 5 დღიანი ვადა გაიზარდოს 10 დღემდე.</p>	<p>6. კომენტარის ავტორის წერილობითი პოზიციისა და ზეპირი მოსმენის სხდომაზე გამოთქმული არგუმენტების გათვალისწინებით (რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ფორმალური დასაშვებობის შემოწმებას ეხება საქმე, ვინაიდან ინფრასტრუქტურის ოპერატორებისთვის შეიძლება ძირითად ბიზნესს არ წარმოადგენდეს აღნიშნული აქტივობა, მისთვის ძნელი იქნება 5 სამუშაო დღის ვადაში თუნდაც ფორმალური შესაბამისობის დადგენა), კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ კომენტარის გაზიარება და დაშვების წესების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:</p> <p><i>„თუ ავტორიზებული პირის მოთხოვნა არ შეიცავს ან არასრულყოფილად შეიცავს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს, ინფრასტრუქტურის ოპერატორი უფლებამოსილია წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მოსთხოვოს ავტორიზებულ პირს განცხადების (დაშვების მოთხოვნის შესახებ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და ამისთვის განუსაზღვროს</i></p>



		<p>დამატებითი ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 სამუშაო დღეზე ნაკლები.“</p>
	<p>7. საკითხის ქმედითი და სწორი რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია მე-5 მუხლის (ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების შესახებ ხელშეკრულება) მე-2 ნაწილს ჩაემატოს მითითება „ხელშეკრულების ფარგლებში განთავსებულ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელზე სხვა ავტორიზებული პირების დაშვების პირობები“-ს სავალდებულო პუნქტად განსაზღვრის შესახებ;</p>	<p>7. ეს კომენტარი უკავშირდება და წარმოადგენს არსებითად იმავე საკითხს, რომელიც კომენტარის ავტორის მიერ დაფიქსირებულია პირველ კომენტარში და რომელსაც კომისია ვერ გაიზიარებს. კომისიის არგუმენტაცია კომენტარის გაუთვალისწინებლობის შესახებ, იხ. პირველი კომენტარის შესაბამის გრაფაში.</p>
	<p>8. მესტიის მუნიციპალიტეტში ელექტრომომარაგების საკითხი მწვავე გამოწვევების წინაშე დგას. გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს სტაბილური ელექტრომომარაგება და განავითაროს ელექტროგამანაწილებელი ქსელი. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონში ინფრასტრუქტურის გაზიარება შეუძლებლად მიგვაჩნია და კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ამ რეგიონში გაზიარების ვალდებულების შემოღებას.</p>	<p>8. შესაძლებელია თუ არა მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ ლოკაციაზე, ავტორიზებული პირის დაშვება და უარის თქმა შეესაბამება თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრულ საფუძვლებს, ამას კომისია შეისწავლის კონკრეტული დავის განხილვის ფარგლებში.</p> <p>დაშვებაზე უარის თქმა უნდა იყოს დასაბუთებული და უნდა გამომდინარეობდეს კანონით განსაზღვრული უარის თქმის რომელიმე საფუძვლიდან.</p> <p>ამ ეტაპზე კი, ამ კომენტარის რაიმე სახით დოკუმენტში ასახვა შეუძლებელია, რამდენადაც კანონქვემდებარე აქტით ვერ მოხდება გამონაკლისის დაწესება რომელიმე კონკრეტულ ლოკაციაზე.</p>
	<p>9. ჩვენი ინფრასტრუქტურის გაზიარებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელზე.</p>	<p>9. კომისია ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ თავისთავად ინფრასტრუქტურის გაზიარებამ შეიძლება აპრიორი უარყოფითი გავლენა მოახდინოს</p>

<p>წარმოგიდგენთ რისკების ნუსხის ამ ეტაპისთვის იდენტიფიცირებულ ნაწილს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაიზრდება მინაერთების გამორთვებისა და ცხელ ხაზზე მომართვების რაოდენობა, რაც გამოიწვევს ელექტროენერგიით მომარაგების წყვეტის საშუალო ხანგრძლივობისა (SAIDI) და მომარაგების წყვეტის საშუალო სიხშირის (SAIFI) მაჩვენებლების გაუარესებას;</li> <li>• საჭირო გახდება სამუშაო ადგილზე დამშვები პერსონალის, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის (განწესის გამცემი პირები) რაოდენობის გაზრდა, რის გამოც საჭირო გახდება სახელფასო ფონდის ზრდა;</li> <li>• შეიცვლება ქსელის კონფიგურაცია, შეუძლებელი გახდება კომპურების გარეშე მუშაობა. ამავდროულად, საჭირო გახდება ადგილზე დამშვების განსახორციელებლად გადაადგილებისთვის სატრანსპორტო საშუალებების დამატება, რაც გამოიწვევს რამდენიმე მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად;</li> <li>• გაიზრდება ქსელში ავარიების რისკი, განსაკუთრებით ქარიან და ყინულმოცვის ამინდებში. აღნიშნული გარკვეულწილად გამოიწვევს SAIDI/SAIFI-ის ზრდას;</li> <li>• ელექტროენერგიის მიმწოდებელს გაეზრდება გაუყიდავი ელექტროენერგიის წილი;</li> <li>• გახანგრძლივდება ავარიის ლიკვიდაციის დრო, რაც ასევე უარყოფითად აისახება SAIDI/SAIFI-ს მაჩვენებლებზე;</li> <li>• გართულებული ექსპლოატაციის პირობებში</li> </ul>	<p>ელექტროგამანაწილებელ ქსელზე. მსგავსი მოსაზრება არ არის დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული და არც დარგის მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია) მიერ არის დადასტურებული კანონის აპრიორი ნეგატიური ეფექტი ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე.</p> <p>ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ უკვე მიღებულია კანონი, რომელიც მათ შორის ელექტროენერგეტიკული კომპანიების შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაზიარებასაც ითვალისწინებს და კომისიის წინამდებარე კანონპროექტებზე აქტი (დაშვების წესები) მხოლოდ ამ საკანონმდებლო ვალდებულებების შესრულებას ისახავს მიზნად. კომენტარის ავტორის მიერ დაფიქსირებული წინამდებარე ჰიპოთეტური რისკები, რომც დასტურდებოდეს, კომისია არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე და არ მიიღოს კანონპროექტებზე აქტი.</p> <p>როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, კანონი და დაშვების წესები, შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, იძლევა იმის საშუალებას, რომ ინფრასტრუქტურის ოპერატორმა დასაბუთებული უარი უთხრას დაშვების მსურველს დაშვებაზე, მაგრამ ამ ჰიპოთეტური რისკების განზოგადება და ამის გამო ზოგადად დაშვებაზე უარის თქმა, დაუშვებელია.</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

	<p>საგრძობლად გაიზრდება უსაფრთხოების რისკები; • გართულდება და გახანგრძლივდება სარეკონსტრუქციო სამუშაოების შეთანხმებები, ქსელში დემონტაჟის ჩატარება (სამუშაოების ჩატარებამდე საჭირო გახდება გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის ქსელის გათავისუფლება სხვა პროვაიდერების კომუნიკაციებისაგან).</p> <p>აღნიშნული ასევე გართულებს სამუშაოების დაგეგმვის პროცესს და შესაბამისად უარყოფითად აისახება ასევე გეგმიური გათიშვების სიხშირეზე და ხანგრძლივობაზე(SAIDI/SAIFI);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაუარესდება ქსელის ვიზუალური მხარე</li> </ul>	
	<p>10. დაშვების წესების დანართი №1-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტთან მიმართებით - ექსპლუატაციისთვის მიუღებელია სადენზე ბოჭკოვანი კაბელის შეწყვილება, ზრდის კვეთს და წონას ერთ ფაზაზე რაც გამოიწვევს ქარიან ამინდში არათანაბარ რხევას და ფაზური სადენების მიახლოებას, აგრეთვე ყინულმოცვის პერიოდში მეტი ნადების მოკიდებას და საყრდენის არათანაბარ დატვირთვას.</p>	<p>10. დაშვების წესების დანართი №1-ის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების ტიპებს, რომლებიც შესაძლებელია განთავსდეს ელექტროგადამცემი ხაზების ბოძებზე და იგი ეფუძნება ITU-T L.26 201508- (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები საჰაერო გამოყენებისთვის) სტანდარტს.</p> <p>ეს პუნქტი ადგენს კაბელების ტიპებს და არა განთავსების წესს, კაბელების საჰაერო ინფრასტრუქტურაზე (ბოძებზე) განთავსების წესები მოცემულია ამავე დანართის მე-2 მუხლში, მე-3 მუხლის მე-2 - მე-6 პუნქტებსა და მე-4 მუხლში.</p>
	<p>11. დაშვების წესების დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში მიზანშეწონილია, რომ იზოლირებული სადენის შემთხვევაში 0,3 მეტრის ნაცვლად</p>	<p>11. აღნიშნული სტანდარტი აღებულია ITU K.108 სტანდარტიდან 1 კვ-მდე სიმძლავრის კაბელებისთვის, შესაბამისად, ამ საერთაშორისოდ აპრობირებული</p>

	<p>დაშორება განისაზღვროს 0,4 მეტრით.</p>	<p>სტანდარტის შეცვლა მიზანშეუწონელია.</p>
<p>სს „სილქნეტი“ წერილის №3107/05-8, თარიღი - 29.05.2024 (კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2497, თარიღი - 29.05.2024</p>	<p>1. სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან დაშვების ტექნიკური ნორმები მოწესრიგებულია „დაშვების წესების“ დანართ №2-ით, რომელიც არ ითვალისწინებს ყველა სახის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, მაგალითად სატელეკომუნიკაციო ანძებზე დაშვების ტექნიკურ ნორმებს, ისევე როგორც არ არის მოცემული მაკრო გადამცემი სადგურების განთავსების ნორმები; დამატებით, წესებით განსაზღვრულია, რომ სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებში შედის - მცირე სიმძლავრის ფიჭური რადიო სადგური, (Small cell, Microcell, Picocell; რეპიტორი, გამაძლიერებელი და სხვა.), სადაც არ არის გათვალისწინებული დიდი ზომის/სიმძლავრის ფიჭური რადიო სადგური. „სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებადი ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) შესაბამისად კი ანძები (მათ შორის სატელეკომუნიკაციო ანძა) წარმოადგენს, კანონის მიზნებისათვის განსაზღვრულ ფიზიკურ ინფრასტრუქტურას. დამატებით, მაკრო გადამცემი სადგურებიც წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებს, ზუსტად ისე,</p>	<p>1. დაშვების წესების დანართები (და მათ შორის დანართი №2) ამომწურავად არ ადგენენ ყველა ტიპის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკურ პირობებს.</p> <p>კომისია ამ ნორმების შემუშავებისას დაეყრდნო საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU), საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (The International Electrotechnical Commission – IEC) და ელექტრული და ელექტრონიკის ინჟინრების სტანდარტების ასოციაციის (The Institute of Electrical and Electronics Engineers Standards Association – IEEE SA) მიერ მიღებულ შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, შესაბამისად, დანართებში განისაზღვრა მხოლოდ იმ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკური პირობები, რომლებზეც მოძიებულ იქნა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტი.</p> <p>ამის მიუხედავად, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ტიპის ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე (რომელიც არ არის დანართებში მოხსენიებული) არ უნდა მოხდეს დაშვება. დაშვების წესების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი ცალსახად ადგენს, რომ „იმ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკური ნორმები, რომლებიც არ არის განსაზღვრული დანართი №1-თ და დანართი №2-თ, უნდა დადგინდეს მხარეთა შორის შეთანხმებული სახით, კანონის და დაშვების წესების პრინციპებისა და</p>

<p>როგორც მცირე სიმძლავრის ფიჭური რადიო სადგურები. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორ მოწესრიგდება ზემოაღნიშნული საკითხი.</p>	<p><i>სულისკვეთების გათვალისწინებით და ნებისმიერი ტექნიკური მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით ან/და მის საფუძველზე დაწესებულ შესაბამის სტანდარტებს. დაუშვებელია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისთვის ისეთი ტექნიკური მოთხოვნების დადგენა, რომელიც მხოლოდ კანონით და დაშვების წესებით დადგენილი მოთხოვნებისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად.</i></p> <p>მსგავსი მიდგომა ასევე აპრობირებულია ევროპის ქვეყნებშიც (მაგ პორტუგალია, ჩეხეთი, ლიეტუვა). შესაბამისად, თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორს გააჩნია ისეთი ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელზე დაშვების ტექნიკური პირობებიც დაშვების წესების დანართებით არ არის განსაზღვრული, ასეთ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკურ პირობებს თავად ინფრასტრუქტურის ოპერატორი დაადგენს. ამასთან, დაუშვებელია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისთვის ისეთი ტექნიკური მოთხოვნების დადგენა, რომელიც მხოლოდ კანონით და დაშვების წესებით დადგენილი მოთხოვნებისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად.</p> <p>რაც შეეხება მაკრო გადამცემ სადგურებს, ამ ნაწილში გათვალისწინებულია კომენტარის ავტორის მოსაზრება და დაშვების წესების დანართებში დაკორექტირდა სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის დეფინიცია და განისაზღვრა შემდეგნაირად „სატელეკომუნიკაციო მოწყობილობა - პასიური და აქტიური აპარატურა, რომელიც</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		<p>გამოიყენება სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის (სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის გადაცემა/მიღება/დამუშავება/განაწილება). სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებში შედის - ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გამანაწილებელი (ODF); ოპტიკური კაბელის მუფტა; სპლიტერი; სატელეკომუნიკაციო გამანაწილებელი კარადა; MSAN-Multi-service access node (OLT, DSLAM, Switch, Router); ანტენა; რადიო სატელეკომუნიკაციო სადგური, რეპიტორი, გამაძლიერებელი და სხვა.“</p>
<p>2. დაშვების წესების მე-6 მუხლი ითვალისწინებს, ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებაზე უარის თქმის პირობებს. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაშვებაზე დასაბუთებული უარის თქმის ერთერთ ობიექტურ, გამჭირვალე და პროპორციული კრიტერიუმებად მითითებულია “საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურასთან დაშვების რეალური ალტერნატიული საშუალებების არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ დაშვება შეთავაზებული იქნება სამართლიანი და გონივრული პირობებით”.</p> <p>“საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურის” აღწერა არ არის მოცემული “დაშვების წესებსა და მის დანართებში” და არც კანონი ითვალისწინებს ამ ტერმინის განმარტებას</p>	<p>2. დაშვების წესების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, ზუსტად იმეორებს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესს, რომელიც თავის მხრივ იდენტურია 2014/61/EU დირექტივის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „f“ პუნქტისა.</p> <p>საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურა გულისხმობს ინფრასტრუქტურას რომელიც გამოიყენება საბითუმო მომსახურების მისაწოდებლად. ამასთან, აღნიშნული პუნქტის დანაწესი იმგვარ რეგულაციას ადგენს, რომ თავად ინფრასტრუქტურის ოპერატორს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ის უზრუნველყოფს სხვა საბითუმო ქსელის ინფრასტრუქტურის რეალური ალტერნატივის არსებობას, რომელზეც დაშვება შეთავაზებული უნდა იყოს სამართლიანი და გონივრული პირობებით.</p>	

	<p>ვფიქრობთ, იმისათვის, რომ ტერმინმა არ გამოიწვიოს არაერთგვაროვანი აღქმა, უმჯობესია დაკონკრეტდეს, რა სახის ფიზიკური ინფრასტრუქტურა მოიაზრება “საბითუმო ფიზიკური ქსელის ინფრასტრუქტურაში”.</p>	
	<p>3. დაშვების წესების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებულია შეზღუდვა, რომლითაც “აკრძალულია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ავტორიზებული პირისთვის დაშვების წინაპირობად დეპოზიტის ან/და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოხონა”.</p> <p>როგორც მოგეხსენებათ, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს კრედიტორს, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით ან მისი სხვაგვარად გამოყენების გზით. შესაბამისად, მართებულად არ მიგვაჩნია კანონმდებლობით მინიჭებული უფლების გამოყენებას სამართლის სუბიექტებს, უზღუდავდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება გამოიყენება, სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყარი საქმიანი ურთიერთობის გარანტია, მიზანშეწონილია განხორციელდეს ამ ჩანაწერის ამოღება დაშვების წესებიდან.</p>	<p>3. კომენტარი გათვალისწინებულია და დაშვების წესებიდან ამოღებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. არგუმენტაცია იხ. სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მე-4 კომენტარის პასუხში.</p>

	<p>4. დაშვების წესების დანართი №1-ით დადგენილი, ავტორიზებული პირის სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად ფიზიკურ ინფრასტრუქტურასთან დაშვების ტექნიკური ნორმების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია რომ „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვა არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს“. სამწუხაროდ, ვერც დაშვების წესებსა და მის დანართებში და ვერც მათში მითითებულ სტანდარტებში ვერ მოვიპოვეთ რას გულისხმობს ეს მონაცემი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, დაზუსტდეს კონკრეტულად რას გულისხმობს ეს პარამეტრი.</p>	<p>4. დაშვების წესების №1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელება ყოველ ორ ბოძს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს.“</p> <p>ეს პუნქტი ადგენს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის მაქსიმალურ მაჩვენებელს, რომელიც პირველ რიგში იცავს დაკიდებულ ოპტიკურ კაბელს დაზიანებისგან (ზედმეტად დაჭიმულობისგან), ასევე ის იცავს იმ ბოძებს ზედმეტი ძალისაგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მასზე დაკიდებული კაბელის ზედმეტად დაჭიმვისაგან. ამასთანა, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული პუნქტი შპს „მაგთიკომის“ კომენტარის გათვალისწინებით დაკორექტირდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელება ყოველ ორ ბოძს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს ან კაბელის მწარმოებლის მიერ დადგენილ ზედა ზღვარს“;</p>
	<p>5. ჩვენი მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, საჭაერო კომუნიკაციასთან მისვლა ისე, რომ სატრანსპორტო მოძრაობა მცირე ხნით მაინც არ შეფერხდეს პრაქტიკულად შეუძლებელია.</p> <p>შესაბამისად, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, რას გულისხმობს, დაშვების წესების დანართი №2-ის, მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის დადგენილი პირობა.</p>	<p>5. კომენტარის ავტორი, სავარაუდოდ გულისხმობს დაშვების წესების დანართი №2-ის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტს (კომენტარის ავტორი უთითებს მე-2 მუხლის მე-5 პუნქტზე), რამდენადაც აღნიშნულ საკითხს სწორედ მე-4 პუნქტი აწესრიგებს და არა მე-5, რომლის თანახმადაც „ბოძზე რამდენიმე საკომუნიკაციო ხაზის არსებობის შემთხვევაში, საკომუნიკაციო კაბელების შეერთების ადგილი უნდა შეირჩეს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკომუნიკაციო კაბელი ჩამოიწიოს მიმდებარე ბოძებიდან“;</p>



		<p><i>სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების გარეშე.</i></p> <p>ეს ჩანაწერი გულისხმობს იმას, რომ კაბელის გადაბმის ადგილები (სადაც მუფტები იქნება განთავსებული) ისეთ ადგილას უნდა შეირჩეს, რომ გადაბმის დროს სამუშაოების (გადაბმა/გადადუღება) წარმოება არ იწვევდეს ხანგრძლივად სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებას.</p> <p>თუმცა ბუნდოვანების თავიდან არიდების მიზნით, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: <i>„ბოძზე რამდენიმე საკომუნიკაციო ხაზის არსებობის შემთხვევაში, საკომუნიკაციო კაბელების შეერთების ადგილი უნდა შეირჩეს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, საკომუნიკაციო კაბელი ჩამოიწიოს მიმდებარე ბოძებიდან, სატრანსპორტო მოძრაობის შეუფერხებლად ან მინიმალური შეფერხებით.“</i></p>
<p><b>შპს „მაგთიკომი“</b> წერილის №ED-24/05/29-021, თარიღი - 29.05.2024 (კომისიაში რეგისტრაციის №შ-24-6/2498, თარიღი - 29.05.2024)</p>	<p>1. პროექტის 5.3 პუნქტის თანახმად, „აკრძალულია ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ ავტორიზებული პირისთვის დაშვების წინაპირობად დეპოზიტის ან/და ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა.“ - დეპოზიტი ან სხვა სახის უზრუნველყოფის საშუალება, წარმოადგენს მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების გარანტიას. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის ოპერატორი დაცული უნდა იყოს ფინანსური რისკებისაგან.</p> <p>„სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი</p>	<p>1. კომენტარი გათვალისწინებულია და დამგების წესებიდან ამოღებულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი. შესაბამისი არგუმენტაცია იხ. სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ მე-4 კომენტარის პასუხში.</p>

	<p>ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაზიარების შესახებ“ კანონი ამ ნაწილში არ ზღუდავს მხარეებს ხელშეკრულების პირობების შეთანხმებაზე და კანონქვემდებარე აქტით ახალი, კანონისაგან განსხვავებული შეზღუდვის დადგენა ეწინააღმდეგება კანონს.</p> <p>გარდა ამისა, თუ ეს საშუალება ან ნებისმიერი სხვა არაგონივრული პირობა ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ გამოყენებულ იქნება დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლად, დაშვების მსურველ პირს შეუძლია მიმართოს კომისიას და კომისიას შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს ინფრასტრუქტურის ოპერატორის მოთხოვნის კანონიერება და გონივრულობა. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს პროექტიდან.</p>	
<p>2. პროექტის 4.12 პუნქტის თანახმად, „იმ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკური ნორმები, რომლებიც არ არის განსაზღვრული დანართი №1-თ და დანართი №2-თ, უნდა განხორციელდეს მხარეთა შორის შეთანხმებული სახით, კანონის და დაშვების წესების პრინციპებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით და ნებისმიერი ტექნიკური მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით ან/და მის საფუძველზე დაწესებულ შესაბამის სტანდარტებს. დაუშვებელია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისთვის ისეთი ტექნიკური მოთხოვნების დადგენა, რომელიც მხოლოდ კანონით და დაშვების</p>	<p>2. კომენტარი გათვალისწინებულია. დაშვების წესების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის მიზანს წარმოდგენდა ის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო დაინტერესებული პირის ან მესამე პირის მიერ დადგენილი ტექნიკური ნორმების ობიექტურობა და არ მომხდარიყო დაშვებისთვის ხელოვნური ბარიერების შექმნა. თუმცა მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებებს, რომ:</p> <p>ა) ამავე მუხლით დადგენილია შეზღუდვა, რომ ასეთ შემთხვევაში ტექნიკური პირობების დადგენა უნდა განხორციელდეს „კანონის და დაშვების წესების პრინციპებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით და ნებისმიერი ტექნიკური მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით ან/და მის საფუძველზე დაწესებულ</p>	

	<p>წესებით დადგენილი მოთხოვნებისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაშვებისთვის დადგენილი ტექნიკური ნორმები/მოთხოვნები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი მარეგულირებელი/ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობითი სახით“.</p> <p>მოგეხსენებათ, რომ ტექნიკური მოთხოვნები/ნორმები შესაძლებელია, ასევე დადგენილი იყოს მაგ. ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ გამოყენებული აპარატურის მწარმოებლის მიერ. შესაბამისად, ბუნდოვანია ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა იყოს ასეთი მოთხოვნა/ნორმა დადასტურებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ამ პუნქტის ბოლო წინადადება ამოღებულ უნდა იქნეს პროექტიდან. თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორის მიერ დადგენილი მოთხოვნები იქნება არაპროპორციული ან არაგონივრული, კომისიას, დაშვების მსურველი პირის მიმართვის საფუძველზე, შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს მოთხოვნის კანონიერება.</p>	<p><i>შესაბამის სტანდარტებს. დაუშვებელია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისთვის ისეთი ტექნიკური მოთხოვნების დადგენა, რომელიც მხოლოდ კანონით და დაშვების წესებით დადგენილი მოთხოვნებისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად.</i>“</p> <p>ბ) კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ ინფრასტრუქტურის ოპერატორი ავტორიზებული პირი არ არის, კომისია დავას განიხილავს შესაბამისი დარგის მარეგულირებელ ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან წერილობითი კონსულტაციის საფუძველზე.</p> <p>კომისია მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფს იმას, რომ უშუალოდ დავის განხილვის პროცესში მოიპოვოს კომისიამ შესაბამისი ორგანოს პოზიცია ინფრასტრუქტურის ოპერატორის ან ინფრასტრუქტურის მწარმოებლის მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებთან დაკავშირებით.</p> <p>შესაბამისად, კომენტარი გათვალისწინებულია და დაშვების წესების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტიდან ამოღებულ იქნა ბოლო წინადადება და პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „იმ ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვების ტექნიკური ნორმები, რომლებიც არ არის განსაზღვრული დანართი №1-თ და დანართი №2-თ, უნდა დადგინდეს მხარეთა შორის შეთანხმებული სახით, კანონის და დაშვების წესების პრინციპებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით და ნებისმიერი ტექნიკური მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით ან/და მის საფუძველზე დაწესებულ</p>
--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		<p><i>შესაბამის სტანდარტებს. დაუშვებელია ფიზიკურ ინფრასტრუქტურაზე დაშვებისთვის ისეთი ტექნიკური მოთხოვნების დადგენა, რომელიც მხოლოდ კანონით და დაშვების წესებით დადგენილი მოთხოვნებისგან თავის არიდებას ისახავს მიზნად.</i></p>
	<p>3. პროექტის N1 და N2 დანართების 2.2 პუნქტის თანახმად - „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელება ყოველ ორ ბოძს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს.“ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებს გააჩნია დაჭიმვის მაქსიმალური ძალის პარამეტრები, რომლებიც განსხვავებულია კაბელების ტიპების, წვერების რაოდენობების და სხვა პარამეტრების მიხედვით. ამ პუნქტში ასევე, არ არის დაკონკრეტებული ბოძებს შორის კონკრეტული მანძილი. ვინაიდან ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელების უნიფიცირებული ზღვრის დადგენა შეუძლებელია, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული 2.2 პუნქტების ფორმულირება უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელება ყოველ ორ ბოძს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს ან კაბელის მწარმოებლის მიერ დადგენილ ზედა ზღვარს“;</p>	<p>3. კომენტარი გათვალისწინებულია და დაშვების წესების დანართი №1-ის და დანართი №2-ის 2.2. პუნქტი ჩამოყალიბდა შემოთავაზებული რედაქციით, კერძოდ „დაკიდებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაჭიმვის შედეგად დაგრძელება ყოველ ორ ბოძს შორის არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს ან კაბელის მწარმოებლის მიერ დადგენილ ზედა ზღვარს“;</p>
	<p>4. პროექტის N1 დანართის მე-2 თავით რეგულირდება საკაბელო კომუნიკაციების ხაზებისა და სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების დამონტაჟება საჰაერო ინფრასტრუქტურაზე (ბოძებზე). ამ თავში</p>	<p>4. კომენტარი გათვალისწინებულია და დაშვების წესების დანართი №1-ის 3.6. პუნქტი დაკორექტირდა შემოთავაზებული სახით, კერძოდ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გარდა ელექტროგადამცემი ბოძისა, სხვა სახის ბოძზე საკომუნიკაციო</p>

	<p>დაკონკრეტებულია ელექტროგადამცემ კაბელის სპეციფიკური პირობები, ხოლო 3.6 პუნქტის თანახმად, „საკომუნიკაციო კაბელების კომუნალურ ბოძზე გაყვანის მეთოდი დამოკიდებულია ბოძის ტიპზე“. ვინაიდან, „კომუნალური“ ბოძის განმარტება პროექტში არ არის მოცემული, სავარაუდოდ მოიაზრება ყველა სხვა სახის ბოძი, ელექტროგადამცემი ბოძის გარდა. შესაბამისად, გთავაზობთ შეიცვალოს 3.6 პუნქტის ფორმულირება და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გარდა ელექტროგადამცემი ბოძისა, სხვა სახის ბოძზე საკომუნიკაციო კაბელების გაყვანის მეთოდი დამოკიდებულია ბოძის ტიპზე“.</p>	<p><i>კაბელების გაყვანის მეთოდი დამოკიდებულია ბოძის ტიპზე“.</i></p> <p>ამასთანავე, დაკორექტირდა დაშვების წესების დანართი №1-ის 4.5 პუნქტიც. რამდენადაც 4.5. პუნქტი აწესრიგებს სატელეკომუნიკაციო ალჭურვილობის განთავსების მეთოდს და აქაც გამოყენებული იყო ტერმინი „კომუნალური ბოძი“, შესაბამისად საჭირო გახდა 4.5 პუნქტის კორექტირებაც და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: <i>„გარდა ელექტროგადამცემი ბოძისა, სხვა სახის ბოძზე სატელეკომუნიკაციო ალჭურვილობის დაყენების მეთოდი დამოკიდებულია ბოძის ტიპზე.“</i></p>
--	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------


კახი ბექაური



თავმჯდომარე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე



წევრი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია